



მთავარი ეკონომიკა მიზნისი ბანკები და ფინანსები მსოფლიო ეკონომიკა ინფრასტრუქტურა საზოგადოება, პოლიტიკა კომერსანტ-რეპორტიორი ელექტრონული ვაჭრობა დეკლარაცია ძველი საიტი

წმელები / გახადე სასტარტო / კონტაქტი

მთავარი დღეს



+ -

2011-08-10 09:23:55

ბუნებრივი რესურსების სააგენტო: წელს ტყეები ხანძრებისგან უკეთ დაცულია

„მწვანე ალტერნატივა“: ხანძრების პრევენციისთვის არაფერი კეთდება

commersant.ge

რამდენად მომზადებულია წელს ხელისუფლება შესაძლო ხანძრებისთვის? არასამთავრობოები არასწორ

მენეჯმენტზე, ხელისუფლება კი ხანძრების რისკის შემცირებაზე საუბრობენ.

2005 წლიდან მოყოლებული ტყის ხანძრებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო და მის მიერ განადგურებული მასივების რაოდენობამ ათასობით ჰექტარს მიაღწია. ყველაზე მასშტაბური 2008 წლის აგვისტოში ბორჯომ-ხარაგაულის ტყეში გაჩენილი ხანძარი იყო, რომლებმაც სულ ცოტა 200 ჰექტრის ფართობი გაანადგურა. ხანძრებით გამორჩეული წელიწადი იყო 2010-იც. მარტო შარშან 500 ჰექტარი ფართობი დაუდევრობის შედეგად დაიწვა.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორის ირაკლი მაჭარაშვილის შეფასებით, ქვეყანაში ტყეებში ხანძრის პრევენციისთვის არაფერი კეთდება. ამის მიზეზი კი ტყეების ცუდი მენეჯმენტია, „ტყის ხანძარი ინდიკატორია იმისა, რომ ტყის მენეჯმენტში ცუდად არის საქმე,“ – ამბობს მაჭარაშვილი.


მისი თქმით, ტყეებში, სადაც წლების განმავლობაში არასწორად მიმდინარეობდა ჭრები, უფრო ადვილად ჩნდება ხანძარი. ხანძარი მალე არ ვრცელდება კარგად შენახულ, ხელუხლებელ ტყეებში.

„სადაც ცუდი მენეჯმენტი იყო, უმეტესად ტყეები სწორედ იქ დაიწვა. არ იკვეთება ხედეა, თუ როგორ უნდა მოხდეს რეფორმირება. ყველაფერი იქამდე დადის, რომ ტყეები იჯარით გაიცეს კერძო სექტორზე და ისინი მოუვლიან ყველაფერს. ეს როგორ მოხდება და რამდენად იქნება ტყეების დაცვის პრევენციისთვის საჭარისი, მნელი სათქმელია. ფაქტია, რომ მენეჯმენტის კუთხით საკმაოდ მძიმე ვითარებაა,“ – ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი.


commersant.ge ბუნებრივი რესურსების სააგენტოსაც დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ წელს ხანძრების პრევენციის მიმართულებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, რასაც ისიც მოწმობს, რომ წელს ხანძრის შემთხვევა პრაქტიკულად არ ყოფილა.

„სტრუქტურამ ახლა განიცადა რეორგანიზაცია და ეტაპობრივად ხანძრის პრევენციისთვის საჭირო ტექნიკური აღწურვაც განხორციელდება. ამ ეტაპზე კი ბუნებრივი რესურსების სააგენტო რეგიონებში საკუთარი უწყების წარმომადგენლებს აძლევს ინსტრუქციას, ადგილებზე გააკონტროლონ და უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სახანძრო უსაფრთხოებას. როდესაც ტემპერატურის პიკი იყო, ტყის დამამზადებლებსაც კი შეეზღუდათ ტყეში შესვლა,“ – აცხადებს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ტყის მართვის დეპარტამენტის სატყეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ნათია იორდანიშვილი.

მისი ინფორმაციით, ადგილებზე 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ ტყის მცველები, ხოლო დამამზადებლები სააგენტოს თანამშრომლობის ინსტრუქციის და ნებართვის გარეშე ტყეში ვერ შედიან.



კვირის სტუმარი



Like 1 Tweet 0



Add a comment...